



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030495901640816

04-472/ო

13 / სექტემბერი / 2016 წ.

“2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის მოსარგებლეზე გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

“2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 09 სექტემბრის N01/69011 წერილის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს “2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (შემდგომში - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა) მე-3 მუხლის „ზ.დ“ ქვეპუნქტის (6-23 თვის ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახებისათვის, რომელთა საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არ აღემატება/ან ტოლია 100 000-ს) ფარგლებში შესყიდული საკვები დანამატის (შემდგომში - მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატი) გაცემის და მიწოდების წესი, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის მიწოდების წესი აფთიაქზე:

ა.ა) შპს „მედფარმა პლუსი“ (სამკურნალო საშუალებების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების განმახორციელებელი SPA160004954 ელექტრონული ტენდერით გამოვლენილი გამარჯვებული) უზრუნველყოფს

კონტრაქტორი ავთიაქებისათვის (რეგიონალური და რაიონული მასშტაბით) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის და მიკროელემენტების გამოყენების ინსტრუქციის მიწოდებას;

ა.ბ) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის ავთიაქებისათვის, როგორც პირველი ისე ყოველი მომდევნო მიწოდება ხორციელდება მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის არსებული მარაგების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, აგრეთვე კომპონენტით მოსარგებლე ბენეფიციარების მიმართვიანობისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამების შესაბამისი კომპონენტის შეუფერხებელი რეალიზების გათვალისწინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მიერ.

ბ) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის გაცემის წესი ავთიაქიდან კომპონენტით მოსარგებლეზე;

ბ.ა) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის მიღება შეუძლია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ყველა იმ ოჯახის 6-23 თვის ასაკის ბავშვებს, რომელთა საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არ აღემატება/ან ტოლია 100 000-ს;

ბ.ბ) ავთიაქიდან მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატი გაიცემა ერთჯერადად ექვსი კოლოფის (180გ=180 პაკეტი) ოდენობით, მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკობრივ პერიოდშია ბენეფიციარი (6-23 თვე);

ბ.გ) ავთიაქიდან მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატი გაიცემა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ შესაბამისი ქულით რეგისტრირებულ 6-23 თვის ყოველ ბავშვზე, რომელთა ოდენობა ოჯახში შესაძლოა იყოს ერთზე მეტი, თითოეულზე ექვსი კოლოფის ოდენობით;

ბ.დ) მიკროელემენტების შემცველ საკვებ დანამატთან ერთად, გაიცემა მიკროელემენტების გამოყენების ინსტრუქცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი საკვები დანამატის მიღების წესი;

ბ.ე) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის გაცემა მოხდება ბავშვის დაბადების და ოჯახის სრულწლოვანი წევრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (დედანი და ასლი) წარდგინის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაყვანის ელექტრონული ბაზის მეშვეობით, რომელშიც პირადი მონაცემების შეყვანისთანავე, ავტომატურად ისახება, არის თუ არა პირი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული, შესაბამისი ქულით და ასაკობრივი კატეგორიით.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს:

ა.ბ.ა) შპს „მედფარმა პლუსის“ ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის კონსულტაციის გაწევა, რომელიც გაავრცელებს მიღებულ ინფორმაციას თავის კონტრაქტორ ავთიაქებში;

ა.ბ.ბ) მიკროელემენტების გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე




ზაზა სოფრომაძე



მიკროელემენტების გამოყენების ინსტრუქცია



1
გახსენით პაკეტი



2
შითვასი ჩაყარეთ თბილ, მისალმად მზა საკვებში.



3
მიკროელემენტების საკვებში დამატების შემდეგ კარგად მოურიეთ კოვზით



4
მიკროელემენტების საკვებში შერევიდან, ბავშვმა საკვები უნდა მიიღოს არაუგვიანეს ნახევარი საათისა

პრაქტიკული რჩევები



ნებადართულია



აკრძალულია


- მიკროელემენტების შემცველი ერთი პაკეტი გამოიყენოთ საკვებთან ერთად დღეში ერთხელ;
- მიკროელემენტების შემცველი ერთი პაკეტი გამოიყენება მხოლოდ ერთი ბავშვითვის;
- შეურიეთ თბილ მყარ ან ახევრად მყარ საკვებს (მაგ.: ბურღულეულის ფაფა, ბოსტნეულის და ხორცის პიურე და ა.შ) გახსენით იმ რაოდენობის საკვებში, რომლის ათვისებაც შეუძლია ბავშვს ერთი ჭამის დროს;
- მიკროელემენტების მისაცემად აირჩიეთ კვების ისეთი დრო როდესაც ბავშვს ყველაზე მეტის ჭამა შეუძლია;
- მიკროელემენტების მიღება დასაშვებია საკვებში მისი გარევიდან ნახევარი საათის განმავლობაში;
- გაუხსნელ მდგომარეობაში შეინახეთ გრილ ადგილას;
- ძუძუთი კვება რეკომენდირებულია 24 თვემდე; განსაკუთრებით პირველი 6 თვე.

- არ გამოიყენოთ დღეში ერთ პაკეტზე მეტი;
- არ დაუმატოთ მინერალები საკვებს მომზადებამდე;
- არ შეურიეთ სხვა ბავშვების საკვებს;
- არ გაყოთ კვებებს შორის ;
- არ შეინახოთ 30°C მაღალ ტემპერატურაზე;
- საკვებად არ გამოიყენოთ გახსნილი ან დაზიანებული პაკეტი.

მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის მიღების წესი

- ერთ ბავშვზე (ასაკი 6-23 თვე) გაიცემა 6 კოლოფი (180 პაკეტი) მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატი.
- მიუხედავად, იმისა თუ რა ასაკიდან დაიწყებს მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის მიღებას, კვების პრინციპი ყველასთვის თანაბარია.

- – საკვები დანამატის მიღების პერიოდი
- – შესვენება (საკვებ დანამატს არ ვღებულობთ)



ობიექტის დასახელება	რეგიონი	რაიონი	მისამართი
თბილისი			
შპს „მედფარმა პლუსი“	თბილისი	ძველი თბილისის რაიონი	უზნაძის ქ. 76/1
იმერეთი			
ქუთაისის შპს "№4 აფთიაქი" სათაო აფთიაქი	იმერეთი	ქ. ქუთაისი	პუშკინის ქ. №14
ხარაგაული შპს "ფარმაცია"	იმერეთი	დაბა ხარაგაული	სოლომონ მეფის №21
ხონი შპს "ფარმაცია"	იმერეთი	ხონი	თავისუფლების მოედ. №1
სანხერე შპს "ფარმა-სპექტრი"	იმერეთი	სანხერე	სტალინის ქ. №20 იგივე მუხრან მაჭავარიანის ქ. №20
ბაღდათი შპს "ლენ"	იმერეთი	ბაღდათი	კახიანის ქ. №2
წყალტუბო შპს "ფარმა 2008"	იმერეთი	წყალტუბო	წერეთლის ქ. №8
ზესტაფონი შპს "ფარმაცია"	იმერეთი	ზესტაფონი	აღმაშენებლის ქ. №61/ა
შპს "ფარმაცია-ვანი"	იმერეთი	ვანი	სოლომონ II ქ. №3
შპს "ჭიათურის ცენტრალური აფთიაქი"	იმერეთი	ჭიათურა	ყაზბეგის ქ. №1
თერჯოლა შპს "კოლხეთი 2000"	იმერეთი	თერჯოლა	რუსთაველის №74
ი/მ რუსუდანი კაციტაძე ტყიბული	იმერეთი	ტყიბული	კვამსახურდიას ქ. №49/32

სამეგრელო

შპს "ზუგდიდის ფარმაცია" სათაო აფთიაქი	სამეგრელო	ქ. ზუგდიდი	კედიას ქ.4ა
შპს ზუგდიდის №2 აფთიაქი	სამეგრელო	ქ. ზუგდიდი	ზ. გამსახურდიას გამზ. №33
შპს ფოთის №1 აფთიაქი	სამეგრელო	ფოთი	რუსთაველის რკალი №12
შპს მარტვილის აფთიაქი	სამეგრელო	მარტვილი	გამსახურდიას №1
სენაკი სპს "გოგინავა"	სამეგრელო	სენაკი	ჭავჭავაძის ქ. №111
შპს „ქეთი 2014“ ჩხოროწყუ	სამეგრელო	ჩხოროწყუ	ჭავჭავაძის ქ. 12
შპს წალენჯიხის აფთიაქი "წალენჯიხა"	სამეგრელო	წალენჯიხა	თამარ მეფის ქ. №12
შპს ხობის აფთიაქი "ავიცენა"	სამეგრელო	ხობი	კოსტავას ქ. №4
შპს ფარმალაენი	სამეგრელო	აბაშა	თავისუფლების ქ. №44დ
ი.მ. „ნათელა ჯაფარიძე“ მესტია	სამეგრელო	მესტია	სეტის მოედანი 17

აჭარა

შპს „ვიტაფარმი პლუსი“ I ჯგუფის აფთიაქი სათაო	აჭარა	ქ. ბათუმი	ბარათაშვილის ქ. №14
--	-------	-----------	---------------------

შპს "ხელვაჩაურის აფთიაქი"	აჭარა	ქ. ბათუმი	ხელვაჩაური, დიდ აჭარის ქ. №7
შპს "ხულოს აფთიაქი"	აჭარა	ხულო	ტ.აბუსერიძის ქ.№2
შპს "შუახევის აფთიაქი"	აჭარა	დაბა შუახევი	რუსთაველის №27
შპს "ალიფარმი" ქედა	აჭარა	დაბა ქედა	აღმაშენებლის ქ.№11
ქობულეთი შპს "ჰიპოკრატე-96"	აჭარა	ქობულეთი	აღმაშენებლის ქ.№92

გურია

შპს "პანაცეა" სათაო აფთიაქი ოზურგეთი	გურია	ქ. ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №2
შპს "ალიანსი 91" ჩოხატაური	გურია	ჩოხატაური	რუსთაველის №2
შპს „ნევრონი“ ლანჩხუთი	გურია	ლანჩხუთი	ჭანტურიას ქ. №21

რაჭა-ლეჩხუმი

შპს „ამბროლაურის აფთიაქი“	რაჭა-ლეჩხუმი	ქ. ამბროლაური	ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. 14
შპს "ფარმაცია" ცაგერის აფთიაქი	რაჭა-ლეჩხუმი	ცაგერი	რუსთაველის №50
შპს "ონის აფთიაქი"	რაჭა-ლეჩხუმი	ონი	აღმაშენებლის ქ. №48
შპს "ლენტეხის აფთიაქი"	რაჭა-ლეჩხუმი	ლენტეხი	თამარ მეფის .№29

ქვემო ქართლი

რუსთავის შპს "№1 აფთიაქი"	ქვემო ქართლი	ქ. რუსთავი	ოდიშარიას ქ. №24
შპს "მარნეულის აფთიაქი"	ქვემო ქართლი	მარნეული	რუსთაველის ქ. №9
ი.მ. ლალი გურგენიძე	ქვემო ქართლი	ბოლნისი	სულხან-საბას ქ. №104
შპს "აფთიაქი დმანისი"	ქვემო ქართლი	დმანისი	წმ. ნინოს ქ. №33
შპს "აფთიაქი ღინა" თეთრი წყარო	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	ფარნავაზის ქ. №9
გარდაბანი ი/მ "თარღან ზეინალოვა"	ქვემო ქართლი	გარდაბანი	აღმაშენებლის ქ. №27
ი/მ "ნინო ნაროეშვილი"	ქვემო ქართლი	წაღკა	არისტოტელეს ქ №2

შიდა ქართლი

შპს „მედფარმა პლუსი“ გორი	შიდა ქართლი	ქ. გორი	ქ. გორი, წერეთლის ქ. 9
ი.მ. „დავით გელაშვილი“ ხაშური	შიდა ქართლი	ხაშური	ბორჯომის ქ. 206
კასპის შპს ბელადონა	შიდა ქართლი	კასპი	სააკაძის ქ. №114
შპს "ზ. ფანასკერტელი" ქარელის აფთიაქი	შიდა ქართლი	ქარელი	თამარ მეფის ქ. №60

მცხეთა-მთიანეთი			
შპს "ქინაქინა" მცხეთის აფთიაქი	მცხეთა-მთიანეთი	ქ. მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №67
შპს "ნიმფა" დუშეთი	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი რ-ნი	ქინვალი რუსთაველის 11
შპს "პანაცია" ყაზბეგი	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგის რ-ნი	სტეფანწმინდა ყაზბეგის №1
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	მცხეთა-მთიანეთი	თიანეთის რ-ნი	რუსთაველის №75
კახეთი			
შპს "იმედი-თელავი"	კახეთი	ქ. თელავი	აღმაშენებლის გამზ. №41
შპს "ცენტრალური" ასმეტის აფთიაქი	კახეთი	ასმეტა	ჩოლოყაშვილის 55
შპს „G.G“ გურჯაანი	კახეთი	გურჯაანი	ი. ნონეშვილის ქ. №24
შპს "სალბუნი ფარმა" დედოფლისწყარო	კახეთი	დედოფლისწყარო	ნ. ფიროსმანის ქ. №1
შპს "ჯეო პოსაიტალს" საგარეჯოს სამედიცინო ცენტრი	კახეთი	საგარეჯო	კახეთის გზატკეცილი №13
შპს არქიმედეს კლინიკა სიღნაღი	კახეთი	სიღნაღი	მშვიდობი ქ. №1
შპს ფარმაკონი ლაგოდეხი	კახეთი	ლაგოდეხი	კოსტავას ქ. №1
სამცხე-ჯავახეთი			
შპს "ახალციხის აფთიაქი"	სამცხე-ჯავახეთი	ქ. ახალციხე	ქ. ახალციხე თაბუკაშვილის ქ. №33
შპს "ბორჯომის №1 აფთიაქი"	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	კოსტავას ქ. №23
შპს "ფარმა მელინე" ახალქალაქის აფთიაქი	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	ღანბადიანის ქ. №54
შპს "ეთერი" ასპინძის აფთიაქი	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	მესხეთის ქ. №4